899.962.1 (092 ქარ.)
ლ - 814

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

*ხელნაწერის უფლებით*

**ნაზი ლომთაძე**

# დუტუ მეგრელის (დიმიტრი ხოშტარია) ცხოვრება და შემოქმედება

10.01.01 – ქართული ლიტერატურა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

**ავტორეფერატი**

თბილისი
2006

ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული
ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი – თენგიზ კიკაჩეიშვილი
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი (10.01.08)

ოფიციალური ოპონენტები: 1. სოსო სიგუა
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი (10.01.10)

2. ლეილა ჯაფარიძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა
კანდიდატი (10.01.01)

დისერტაციის დაცვა შედგება 2006 წლის "5" მაისს
----"-----" საათზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის დარგის (P.10.10.№4)
სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

მისამართი: 0128, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №1,
დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია თ.ს.უ. სამეცნიერო
ბიბლიოთეკაში.
მისამართი: 0143, თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2

ავტორეფერატი დაიგზავნა 2006 წლის "3" აპრილს

Библиотека
Тбилисского гос. педагогического института
иностранных языков
им. И. Чавчавадзе

სადისერტაციო საბჭოს
სწავლული მდივანი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი /ნ. ტაბიძე/

-2084-

## ნაშრომის ზოგადი დახასიათება

**თემის აქტუალურობა.** ლიტერატურის ისტორიაში საუკუნეთა მიჯნა ერთი მხრივ, მუდამ ზღვარს წარმოადგენდა ორ პერიოდს შორის და მეორე მხრივ, ეს ხანა სხვადასხვა პერიოდთა გამაერთიანებელიცაა; საუკუნეთა გასაყარი, ამა თუ იმ სოციალურ-მსოფლმხედველობრივ ფასეულობებს უდებს ზღვარს, და, ამასთან, წინა საუკუნის ზოგადსაკაცობრიო თემატიკას აკავშირებს ახალ ფასეულობებთან.

ერთი შეხედვით, პარადოქსულად შეიძლება ჩანდეს, თუ ვიტყვით, რომ XIX-XX საუკუნეთა მიჯნა გაცილებით უფრო ტრაგიკული აღმოჩნდა საქართველოსთვის, ვინემ XVIII-XIX საუკუნეთა გარდამავლობა, რადგან თუკი პირველ შემთხვევაში საქართველომ სახელმწიფოებრიობა დაკარგა, მეორე შემთხვევაში ქართველი ხალხი თითქმის დადგა ქართული ცნობიერების დაკარგვის საფრთხის წინაშე. ამ პერიოდის საქართველოს ეროვნული ტრაგედია ერთიანი სულიერ-ზნეობრივი საყრდენის ნგრევაში გამოიხატა.

სწორედ ამ ისტორიულ რეალიებში ყალიბდება ახალი პიროვნება მწერლისა და შესაბამისად ლიტერატურული პერსონაჟისა (გნებავთ, გმირისა). ასე იწყება ახალი ქართული ლიტერატურის პერიოდი ახალი თემებით, ახალი ესთეტიკური სისტემებით, მათ შორის ბრძოლებით, რაც ხელოვნების დანიშნულების, ესთეტიკური პროგრამების რადიკალურ ნაირსახეობაში პოულობს თავის გამოხატულებას.

ამ ზღვრულ დროში კვლავაც მყარად დგას 60-იანელთა და მათი ლიტერატურულ-იდეური მრწამსის ერთგულ მწერალთა ახალი თაობა. 60-იანელთა სკოლის ახალი თაობა (რომელთა შორის დუტუ მეგრელი, უიარადო, შიო მღვიმელი მოიაზრება) ევრო-რუსულ, იმპორტულ იდეურ-პოლიტიკურ, თუ ესთეტიკურ "დასებს" ემიჯნება.

ყოველ ეპოქას თავისი კულტურული სახე აქვს, რომელსაც ძირითადად სულიერი კატეგორიები წარმართავს. კაცობრიობის სულის ისტორიაც ამ ჭრილში მიემართება და ცნობიერების სახეცვალებაც ამას ემყარება, "რამეთუ ხორცი იბრძვის სულისთვის და სული – ხორცისათვის" – ამბობს წმინდა მოციქული პავლე. ქართული ცნობიერების ზნეობრივ-ესთეტიკური ცნობიერების ძალა დასაბამიდანვე (საქართველოს სახელმწიფოს შექმნიდანვე) წმინდა ნინოს ვაზის ჯვარი იყო, ვიდრე